

**ანტიკური ხანის
საქართველოს არქიტექტურული ძეგლები**

(წიგნიდან: გიორგი ლეზავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1979. გვ. 5-15).

ციცასიმყვაობა

ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურა შედარებით გვიან გახდა მეცნიერული კვლევა-ძიების საგანი. ამ პერიოდის არქიტექტურული ძეგლების გამოვლენა დაკავშირებულია არქეოლოგიასთან, რომელიც საქართველოში არსებითად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ ხანებში განვითარდა და განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო დიდი სამამულო ომის შემდეგ. მცხეთა-ბაგინეთის, არმაზის, ვანისა და სხვა ძეგლების გათხრის შედეგად დაგროვდა მნიშვნელოვანი მასალა ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურის შესასწავლად. ამ მასალის საფუძველზე შესაძლებელი შეიქნა ამა თუ იმ პერიოდის არქიტექტურული სტილის განსაზღვრა, ნაგებობათა კონსტრუქციების სამშენებლო ტექნიკის შესწავლა და ა. შ. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ნაშრომში წარმოდგენილია ნატურიდან შესრულებული ცალკეული ობიექტების ანაზომები, არქიტექტურული ძეგლებისა და ცალკეული დეტალების ნახაზები და ჩანახატები. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოვლენილი მასალა ამის შესაძლებლობას იძლევა, მოცემულია ძეგლთა გრაფიკული რესტავრაცია. შესწავლილია მცხეთის, უფლისციხის, ვანისა და ზოგიერთი სხვა ანტიკური ხანის არქიტექტურული ძეგლები და ნაგებობათა ცალკეული ფრაგმენტები.

1. უფლისციხე

უფლისციხე – საქართველოს არქიტექტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანი – მდებარეობს ქ. გორიდან 15 კმ. დაცილებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ამ მეტად რთულმა არქიტექტურულმა კომპლექსმა კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება, მაგრამ მისმა შესწავლამ რეგულარული გეგმაზომიერი და კომპლექსური ხასიათი მხოლოდ 1966 წლიდან მიიღო.¹ უკვე გამოვლენილია კლდეში ნაკვეთი ყველა ნაგებობა, აღდგენილია პირვანდელი დაგეგმარება, ფიქ-სირებულია გვიანდელი გადაკეთების კვალი, დადგენილია სამშენებლო პერიოდები.² როგორც ჩანს, თავდაპირველად უფლისციხე ლია ტიპის ქალაქს წარმოადგენდა, ხოლო ციხესიმაგრედ ის მოგვიანებით – ადრეფეოდალურ ან გვიანანტიკურ ხანაში – იქცა.

¹ III. Я. А м и р а н а ш в и л и, История грузинского искусства, М., 1950; Н. Г. Ч у б и н а ш в и л и, Уплисцихе, Тб., 1961; К. Н. М е л и т а უ რ ი, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, I, Тб., 1969; კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, სახლსამყოფის ერთი სახე საქართველოში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №5, 1953; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე I, თბ., 1964; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე II, თბ., 1970; თ. ქ ა რ უ მ ი ძ ე, უფლისციხის გათხრები 1969 წელს, ხელნაწერი; თ. ქ ა რ უ მ ი ძ ე, უფლისციხე 1966–1968 წწ. არქეოლოგიური შესწავლის შედეგები (არქიტექტურა), ხელნაწერი, ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

² უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი – აკად. შ. ამირანაშვილი, თანამშრომჟლები – დ. ხახუჭაიშვილი, თ. ქარუმიძე.

უფლისციხის არქიტექტურული კომპლექსი ბევრ საერთოს პოულობს მცირე აზის კლდეში ნაკვეთ ქალაქებთან, მაგრამ ამავე დროს ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით. უფლისციხის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ქვაბული ნაგებობანი გამოკვეთილია პორიზონტალურ, ოდნავ დაქანებულ კლდოვან პლატოზე და არავერტიკალურად, როგორც ეს გვხვდება უმრავლეს ქვაბულ კომპლექსებში (ვანი – თურქეთში, ვარძია – საქართველოში და სხვ.).

სამხრეთიდან ჩრდილოეთით ქალაქს კვეთს მთავარი გზა. მას აქვს განშტოებანი, რომლებსაც მივყავართ ცალკეულ ქვაბულ შენობებთან. კლდეში ნაკვეთი კომპლექსების შესწავლა მათი კლასიფიკაციის შემუშავების საშუალებას იძლევა. კერძოდ, განირჩევა ქვაბულ შენობათა ოთხი ძირითადი ტიპი: 1) ერთოთახიანი, 2) ავანდარბაზიანი ერთოთახიანი, 3) მრავალოთახიანი, 4) რთული მრავალოთახიანი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორსვეტიანი დარბაზი, რომლის გასანათებლად ჭერში ნახვრეტია ამოკვეთილი. დარბაზის დაგეგმარების ანალიზის საფუძვლზე წამოვაყენეთ ვარაუდი მისი ორ ეტაპად აგების შესახებ. ეს ჰიპოთეზა, თავის მხრივ, გასაგებს ხდის სვეტების ასიმეტრიულად განლეგებას სინათლის წყაროს მიმართ.

კვლევის პროცესში შესაძლებელი გახდა უფლისციხის ანსამბლის ზოგიერთი ოთახის ჭერის კესონების განლაგებასა და ხასიათში გარკვეული კანონზომიერების დადგენა.

უფლისციხის ცალკეული კომპლექსების მშენებლობის კანონზომიერების გამოვლენა – ნაგებობათა კლასიფიკაცია, ჭერში კესონების განლაგების ხასიათი და, რაც მთავარია, ორსვეტიანი დარბაზის ეტაპობრივი მშენებლობა, უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ ჰიპოთეზა, რომ ძირითადი ანსამბლები შექმნილია აქემენიდურ ხანაში, ხოლო პორტალის თაღისებური გადახურვის კესონური დამუშავება, რაც რომაული ხანისთვისაა დამახასიათებელი, უფრო გვიან პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

უფლისციხის არქიტექტურული კომპლექსი მაღალ პროფესიულ დონეზეა შექმნილი; ფართოდაა გამოყენებული იმდროინდელი ტექნიკის მიღწევები და საამშენებლო საქმეში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება.

უფლისციხის ცალკეულ ძეგლებს ვსწავლობდით 1938–1976 წლებში. ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს ხელოვნების მუზემში დაცული მასალები და ანაზომები შესრულებული ავტორის მიერ არქიტექტორ მ. ჯანდიერთან ერთად.

II. ხის არქიტექტურა ძველ საქართველოში

ანტიკური ხანის მონუმენტურ არქიტექტურას საქართველოში წინ უძლოდა ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდებოდა არქიტექტურული ფორმების დახვეწა სხვადასხვა მასალაში, მათ შორის ხეშიც. ხის არქიტექტურას არც მომდევნო ხანებში დაუკარგავს მნიშვნელობა. ანტიკური წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემებით კოლხეთში საშენ მასალად ძირითადად ხე გამოიყენდა, რასაც უდაოდ ხელს უწყობდა ტყიანი მასივების სიმრავლე.

ბერძენ-რომაელი ავტორები, ჰეკატე მიღეტელიდან მოყოლებული მთელი ათი საუკუნის განმავლობაში გვაწვდიან ცნობებს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ხის საცხოვრებელი კოშკებისა და სასიმაგრო კედლების არსებობის შესახებ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ქსენოფონტის „ანაბასისსა“ და ვიტრუვიუსის ტრაქტატში („10 წიგნი არქიტექტურის შესახებ“) დაცული ცნობები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ავტორებს მთელი ოთხი საუკუნე აცილებს ერთმანეთისაგან, მათი ცნობები მნიშვნელოვნად ავსებენ ერთიმეორეს. ქსენოფონტი, როგორც ისტორიკოსი, ზოგადად ახასიათებს ბევრ ხის ნაგებობას, მათი გამაგრების

პრინციპებს. არქიტექტორი ვიტრუვიუსი კი დაწვრილებით აღწერს კოლხური საცხოვრებელი კოშკების მორულ კონსტრუქციას. ამასთან იგი აღნიშნავს, რომ კოლხური კოშკები ფრიგიულთან ერთად საცხოვრებლის უძველეს ტიპებს მიეკუთვნებიან. კოლხურ კოშკებს პირამიდული, ცენტრალურ-გუმბათოვანი გადახურვა ჰქონდათ. სვანეთში აღმოჩენილ ხის მორული ნაგებობის ოქროს მოდელს, რომელიც ძვ. წ. III-II საუკუნეებს მიეკუთვნება, ლია ფრონტონებიანი ორფერდა სახურავი აქვს. როგორც ჩანს, მორულ ნაგებობებში გადახურვის ორივე სისტემა იყო გავრცელებული.

ქსენოფონტის მიერ აღწერილი მორული ნაგებობანი, რომელთა უმრავლესობა კოშკებით იყო გამაგრებული, მოგვაგონებენ სვანეთის კოშკურ საცხოვრებლებს. მათ შორის გარკვეული გენეტიკური კავშირის არსებობა არ უნდა იყოს გამორიცხული.³

ჰიპოკრატეს თხზულებაში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ დაცულია ცნობა ფასიანელთა შესახებ, რომლებიც ხისა და ლერწმის ქოხებში ცხოვრობდნენ. კოლხეთის დაბლობში „დიხა-გუძუბას“ გათხრის დროს აღმოჩნდა მორულ ნაგებობათა ნაშთები; ივარაუდება მათი მიკუთვნება საცხოვრებლის იმ ტიპისათვის, რომელსაც ბერძნები მოსინებს ან ციხე-კოშკებს უწოდებდნენ.⁴

ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზე ნაშრომში მოცემულია ძველი საქართველოს ხის ნაგებობათა სხვადასხვა ტიპების გრაფიკული რეკონსტრუქციის ცდა.

III. დორიული კაპიტელი საირხედან

სოფ. საირხეში (საჩხერის მახლობლად) დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩნდა დორიული სტილის ორი (დიდი და მცირე) კაპიტელი.⁵ ორივე გამოკვეთილია მკვრივი თეთრი კირქვისაგან.

ჩვენი კვლევის საგანს დიდი კაპიტელი წარმოადგენს. მისი ზომებია: კვადრატული აბაკა – 1011X1011X257 მმ, ექინის დმ – 516 მმ, საერთო სიმაღლე (აბაკასთან, ექინსა და ორნამენტირებულ სარტყელთან ერთად) – 483 მმ.

სტილის მიხედვით კაპიტელი მიეკუთვნება დორიულ ორდერს, თუმცა ერთგვარი გადახრები შეინიშნება ექინის დამუშავებაში. ეს უკანასკნელი, წესისამებრ, სადა კი არ არის, არამედ შემკულია გაშლილი ლოტოსის ყვავილით. ორნამენტის დამუშავების ტექნიკა სკულპტურულია.

აღსანიშნავია, რომ მცირე კაპიტელის საერთო პროპორციები, ექინის დამუშავების ხასიათი და სტილი დიდი კაპიტელის ანალოგიურია, ზომით კი მის ნახევარს წარმოადგენს.

კაპიტელების აზომვამ, მათმა შედარებითმა-ტიპოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი დორიული ტაძრის ნაწილებს წარმოადგენენ და არქაულ ხანას მიეკუთვნებიან.

³ Г. И. Лежава, Древнейшая деревянная архитектура по «Анабасису» Ксенофонта, „Махене“, ისტოрии, არქეოლოгии, ეთნოგрафии и ხელოვნების ისტორии სერია, №3, 1971, გვ. 90-103. იხ. აგრეთვე გ. И. Лежава, М. И. Джанидзе, Архитектура Сванетии, М., 1938, 20; М. И. Джанидзе и др., Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии, М., 1940, 98; М. И. Джанидзе и др., Г. И. Лежава, Народная башенная архитектура, М., 1976, 47-55.

⁴ ნ. ხ ჭ ა რ ი ა, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №2, 1944, 209-210.

⁵ ზოგიერთი მკვლევარი მათ სვეტის ბაზებად მიიჩნევს. დაწვრილებით იხ. გ. ლ ე ჟ ა ვ ა, საირხეში აღმოჩენილი კაპიტელის შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“, № 12, 1962.

დიდი კაპიტელი კარგადაა შემონახული, მისი სტილი და ფორმა გამოკვეთილია, რამაც მოგვცა ტაძრის აღდგენის შესაძლებლობა. ვიტრუვიუსის მიერ შემუშავებული ტაძრის ტიპების კლასიფიკაციის და, რაც მთავარია, მოდულის სისტემის საფუძველზე, ირკვევა, რომ საირხეს ტაძარი პერიპტერს წარმოადგენდა. შემოთავაზებულ რესტავრაციაში ექვსსავეტიანი დორიული ტაძრის ასეთი ზომებია მიღებული: სიგრძე – 18 მ, სიგანე – 11 მ, სიმაღლე ძირიდან ფრონტონის წერამდე – 7 მ.

IV. „დიდი მცხოვის“ არქიტექტურული ძეგლები

ქველი საქართველოს ქალაქთმშენებლობის კულტურა თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე. აქ ბრწყინვალედაა გადაჭრილი ადგილის შერჩევისა და რელიეფის ოსტატურად გამოყენების პრობლემა. საკუთრივ მცხეთა გაშენებულია მტკვრისა და არაგვის შესართავთან, დანარჩენი ობიექტები კი, როგორც წესი, განლაგებულია მის გარემომცველ მაღლობებზე (ბაგინეთი, არმაზციხე, მთაქართლი, ჯვარი და სხვ.). ამჯერად ჩვენი მიზანია „დიდი მცხეთის“ ზოგიერთი ძეგლის ანალიზი და, ცალკეულ შემთხვევებში, აღდგენის ცდა.

ა) მცხოვის თავდაცვითი კადები

არქეოლოგიური მასალები და არსებული პარალელები იძლევიან მცხეთის თავდაცვითი სისტემის რესტავრაციის შესაძლებლობას. სასიმაგრო კედელში განირჩევა სამი ტიპის კოშკი. კარიბჭე ფლანკირებული იყო ნახევარწრიული მოყვანილობის კოშკებით, ხოლო კედლის მთელ სიგრძეზე განლაგებული იყო ოთხკუთხა და მრგვალი კოშკები.

ბ) ნადარბაზევისა და ნორმის კანონირებული სვეტები

სოფელ ძეგვის სამხრეთით, 3 კმ დაცილებით, „ნადარბაზევად“ წოდებულ ადგილზე აღმართულია XIII საუკუნის ერთნავიანი ეკლესია. მის სამხრეთ კედელთან აღმოჩნდა მიწაში ჩაფლული კანელირებული სვეტი. სვეტი ლია ფერის კირქვისაგანაა გამოთლილი. მხოლოდ რამდენიმე კანელურია კარგად შემორჩენილი (სულ 18 იქნებოდა). კანელურებს შორის მახვილკუთხა ღარებია. სვეტის სიმაღლე 3 მეტრია, საშუალო დიამეტრი – 355 მმ. კანელურის პროფილი 1,6-ს შეადგენს. სვეტს ორსაფეხურიანი ბაზა აქვს. ფორმისა და შესრულების სტილის მიხედვით ნადარბაზევის სვეტი და ბაზა აქემენიდურ ნიმუშებს უახლოვდებიან. ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ ძვ. წ. V ს. აქემენიდური არქიტექტურის ე. წ. პერსეპოლისის პერიოდს.

აქემენიდურ სტილსავე უნდა მიეკუთვნოს სოფ. სათოვლიაში („აბულეთის ციხე“) აღმოჩენილი კანელირებული სვეტი და წრომის ტაძარში დაცული სვეტის ნაწილები – 3 დოლი, რამდენადაც ამ ფრაგმენტებზე კანელურები კარგადაა შემორჩენილი, შესაძლებელი ხდება მათი დიამეტრის დაზუსტება. არსებული მონაცემების საფუძველზე წარმოდგენილია ნადარბაზევის სვეტის ორდერის აღდგენის ორი ვარიანტი.

გ) ბაზის ფრაგმენტი შიომღვიმეზე

შიომღვიმის მონასტრის ეზოში აღმოჩენილია აქემენიდური სტილის ზარხულისებური ბაზის ზედა ნაწილი. მართალია, ბაზა დაზიანებულია, მაგრამ მისი აღდგენა მოხერხდა. შიომღვიმის ბაზის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს აზერბაიჯან-

ში⁶ სარი-თეფეს ბორცვზე აღმოჩენილი ზარხუფისებური ბაზა. შიომლვიმის ბაზაში სვეტის ჩასამაგრებლად ბუდეა ამოკვეთილი. ბუდის ხასიათი და სვეტის ძირის დიამეტრი (390 მმ), რომელიც კარგად ისაზღვრება, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სვეტი ხისა იყო.

დ) არმაზისციხე, სვეტების დარბაზი

არმაზისციხე I-ის სვეტებიანი დარბაზის⁷ არქიტექტურა საფუძველს გვაძლევს, რომ ის მივიჩნიოთ განძთსაცავად ან არსენალად. კედლები ამოყვანილია კარგად გათლილი ბლოკებით (პირონების გარეშე). ექვსი სვეტით დარბაზი ორ ნაწილად იყოფა. როგორც ჩანს, სვეტები ხისა იყო, ბაზა და კაპიტელი კი – ქვის. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში 2,50 მ სიგანის თაროების მოსაწყობად განკუთვნილი ოთხკუთხა პაზებია. შესასვლელი აღმოსავლეთი მხრიდანაა მოწყობილი. შემოთავაზებული რეკონსტრუქციის ძირითადი თემაა – ნაგებობის შესასვლელის გადაწყვეტა ოთხსვეტიანი პორტიკის სახით ან მის გარეშე, აგრეთვე გადახურვის შესაძლო ფორმები – ბრტყელი ან ორფერდა.

ე) იონიური კაპიტელი სარკინედან

სარკინეთის გათხრების დროს აღმოჩენილ კაპიტელში⁸ ასახულია იონიური სტილის ყველა დამახასიათებელი ნიშანი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ექვსფურცლიანი ვარდული, რომლითაც შემკულია შემაერთებელი ვოლუტის ლენტი. ვარდულით შემკული იონიური კაპიტელი აღმოჩნდა აგრეთვე ძველ ალბანეთში (1958 წლის გათხრები). აღსანიშნავია, რომ ალბანეთისა და სარკინეს კაპიტელები ახლოს დგანან ერთმანეთთან ზომებითაც.

კაპიტელი მცირე ფორმის ტაძარს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ვარაუდის საფუძველზე ნაშრომში მოცემულია ტაძრის სავარაუდო რეკონსტრუქციის სამი ვარიანტი.

ვ) მცხოვის მავზოლეუმის ტიპის აკლდამა

მცხეთის აკლდამა⁹ ყურადღებას იქცევს მკვეთრად გამოსახული საფასადო გადაწყვეტით. კედლები მშრალადაა ნაგები კარგად გათლილი ქვის ბლოკებით; აკლდამის კოლოფა თაღი ამოყვანილია წაგრძელებული ბლოკებით, რომელთა სისქე 0,45-0,50 მ-ია. აკლდამა ოთხკუთხაა (4000 მ X 400 მ.). მისი ფასადის სიმაღლე, ძირიდან ფრონტონის ზედა წერილამდე, 2,94 მ-ს აღწევს; სათავსოს სიმაღლე იატაკიდან თაღის საჭექამდე – 1,94 მ-ს. სათასვო შიგნით შელესილია კირხსნარით. აკლდამა დგას საგანგებოდ მოწყობილ ჰორიზონტალურ თიხატკების მოედანზე, რომელიც ფილებითა მოკირწყლული. ფილების სისქე 0,20 მ-ია.

მცხეთის აკლდამის თავისებურებას წარმოადგენს რიტუალური ეზოს მოწყობა მემორიალურ სათავსოში შესასვლელის წინ. ოთხკუთხა მოყვანილობის ეზო ნაწილობრივ კლდეშია შეჭრილი. ფრონტონიანი ფასადის წინ სპეციალური მოედანი – ეზო კომპოზიციურად შეკრულია მთელ კომპლექსთან და ამ მემორიალურ ნაგებობას ერთგვარ საზეიმო ხასიათს ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ცნობილ ამ

⁶ И. Г. Н а р и м а н о в, Находки без колонн V-IV вв. до н. э. в Азербайджане, Советская археология, 4, 1960, 162-164.

⁷ ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, 26.

⁸ ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 39-40.

⁹ ი ქ ვ ე, 107.

ტიპის არცერთ აკლდამას (არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ) არა აქვს მსგავსი მოედანი. აკლდამის თავისებურებებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე თაღის ბლოკები, რომლებიც ფასადზე გამოდიან ტორზებით და მასზე ბლოკების სოლისებურ პროფილს ასახავენ. ეს ხერხი ბლოკების გადაბმის კონსტრუქციას მეტ სიმტკიცეს აძლევს. აღსანიშნავია, რომ არც ამ ხერხს მოეძებნება ანალოგი.

თვით აკლდამის არქიტექტურული გადაწყვეტა (დაგეგმარებისა და მოცულობით-სივრცობრივი თვალსაზრისით) ბევრ საერთოს პოულობს ამ ტიპის ნაგებობებთან – სიონი, აცხე (სომხეთი), ოლბია (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი) და სხვ. დიდი მსგავსებაა მცხეთისა და პანტიკაპეიონის აკლდამებს შორის, სადაც ბევრი საერთო შეიმჩნევა არა მარტო გეგმასა და შიდა სივრცის მოცულობებში, არამედ აკლდამის შესასვლელის პროპორციებშიც; ამას ემატება ძირითადი კონსტრუქციული ხერხების ერთიანობაც.

აკლდამის ფასადს უტიმპანო ფრონტონი აქვს. ეს კომპოზიციური ხერხი, ასე ფართოდ გავრცელებული საქართველოში, არ არის დამახასიათებელი ანტიკური სამყაროსათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ აკლდამის ფასადი არ ყოფილა დამთავრებული. ნაშრომში წარმოდგენილია აკლდამის სავარაუდებელი ფასადი მისი დასრულების შემდეგ.

ზ) ძალის აბანო

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოში ფართო გავრცელებას პოულობენ აბანოს ტიპის ნაგებობანი (არმაზ ციხე, არმაზისხევი, ბიჭვინტა). აბანო ან დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა, ან ამა თუ იმ საზოგადოებრივი ნაგებობის შემადგენელი ნაწილი იყო. ძალისში აღმოჩენილი აბანო¹⁰ ზუსტად პასუხობს მის მიზანდასახულობას. აბანოს სწორკუთხა კონფიგურაციის კომპაქტური გეგმა, სათავსოთა მკვეთრი დაგეგმარება აბანოს სათავსოების ინტერიერის თაღოვანი, ხოლო ნაგებობის ორფერდა გადახურვის შესაძლებლობას იძლევა.

V. ვანის ნაძალაძარზე აღმოჩენილი არეალების ურული ძაგლები

1966-76 წლებში ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია მთელი რიგი არქიტექტურული ძეგლებისა: სასიმაგრო ნაგებობანი, კარიბჭის კომპლექსი, მრგვალი ტაძარი, სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები, სვეტისთავები, ბაზები, სვეტების და კარნიზების ფრაგმენტები და მრავალი სხვა.

ნაქალაქარი ბორცვზეა განლაგებული, რომელიც სამ ტერასადაა დანაწილებული. იგი გარშემორტყმული ყოფილა მძლავრი სასიმაგრო კედლებით.

ა) ჰარპიშის კომპლექსი

კარბიჭის კომპლექსი განლაგებულია ხელოვნურად მოსწორებულ კლდოვან მოედანზე.¹¹ შესასვლელი მოპირკეთებულია ქვის ფილებით გარეთა NW მხრიდან კედელზე მიდგმულია პოსტამენტი ქანდაკებისათვის. კარიბჭის მარჯვნივ კლდეზე

¹⁰ ალ. ბ ო ხ რ ა ძ ე, ნასტავისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს (მოკლე ანგარიშები), თბილისი, 1974 წ., 56 და შემდეგ.

¹¹ 11. ნ. ხ შ ტ ა რ ი ა, ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, გ. ლ ე შ ა ვ ა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს. ვანი I, თბ., 1972, 150-155.

მიშენებულია ლოჯის ტიპის სამლოცველო (9 მ^2). მის დასავლეთ კედელზე მიღწმულია ქვის საკურთხეველი, რომლის ირგვლივაც აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის და დანიშნულების თიხის ჭურჭელი შეწირულობით. კარბიჭის კომპლექსი მშრალადაა ნაგები. კარგად გათლილი ქვები ერთმანეთთან მჭიდროდაა მორგებული. სამლოცველოსთან მისასვლელი გზა 18 მ-ის სიგრძეზე რიყის ქვებითა მოკირწყლული. ამ გზაზე დაცემულ კედლების ნაგრევებში მდიდარი არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი, მათ შორისაა სამშენებლო ტექნიკის ამსახველი საგნებიც.

კარიბჭე აღმოსავლეთის მხრიდან გამაგრებულია ნახევარწრიული კოშკით (6 მ-ის რადიუსის).¹² კოშკიდან სამხრეთის მიმართულებით გამოვლენილია სწორკუთხა გეგმის მქონე ნაგებობა, ორიენტირებული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ამ მასალების საფუძველზე ნაშრომში მოცემულია ცდა კარბიჭის კომპლექსის რესტავრაციისა.

გ) საკურთხევლები (სამსხვირალოები)

ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მრავალი დიდი და მცირე საკურთხეველი თუ მისი ფრაგმენტი იქნა გამოვლენილი. ბორცვის თავზე იდგა დიდი, საფეხურებიანი საკურთხეველი. გათხრებისას აღმოჩნდა რთული კონფიგურაციის ორნამენტირებული ქვის ნივთის ფრაგმენტი, რომლის ყოველმხრივმა შესწავლამ საფუძველი მოგვცა იგი მცირე ფორმის საკურთხევლად მიგვეჩნია.¹³ მომდევნო ხანებში აქვე აღმოჩნდა ელინისტური ხანის კარგად დაცული საკურთხეველი, რომელმაც დაადასტურა ჩვენი ვარაუდი და შემოთავაზებული რესტავრაციის სისწორე.

გ) არქიტექტურული ნახატები

ნაქალაქარის ტერიტორიაზე მრავალი არქიტექტურული ნატეხი იქნა აღმოჩენილი: დამაგვირგვინებელი და საშუალედო კარნიზები, ორნამენტირებული დეტალები და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილი თეთრი კირქვისაგან გამოკვეთილი ლომისთავები (ზომები $70X45X36$ სმ), რომელთაგან ერთი კედლის მოსართავია, ხოლო დანარჩენი ორი ფრონტონის დამაგვირგვინებელ, წვიმის წყლის სადინარად განკუთვნილი სიმის ნაწილს წარმოადგენს.¹⁴ ერთ-ერთ ლომის თავზე მთლიანადაა შემონახული კონსტრუქციული ელემენტები, მასზე ცხადად მოჩანს კარნიზთან სკულპტურის მიმაგრების ხერხი.

ამ არქიტექტურული დეტალების ანალიზმა საშუალება მოგვცა შემოგვეთავაზებინა მთელი რიგი ხუროთმოძღვრული ელემენტების სავარაუდო რესტავრაცია. გადახურვათა ნაშთების შესწავლის საფუძველზე მოცემულია კრამიტის სახურავისა და ლომისთავებიანი კარნიზის რეკონსტრუქცია.

დ) არქიტექტურული ზრაგვებები

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქიტექტურული ფრაგმენტები განეკუთვნება როგორც მონუმენტურ, ასევე მცირე ფორმის ნაგებობებს.

¹² დასხ. ნაშრომი, 160.

¹³ გ. ლ. ე. ჟ. ა. ვ. ა., მცირე ფორმის ანტიკური საკურთხეველი ვანიდან, „ძეგლის მეგობარი“, №4, თბ., 1976, 42-43.

¹⁴ 6. ხ შ ტ ა რ ი ა, ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს, ვანი I, 181.

აღმოჩენილია სხვადასხვა არქიტექტურული ორდერის კაპიტელები – დაწყებული სრულიად სადა სვეტისთავებიდან, დამთავრებული რთული კორინთული სტილის სვეტისთავით, ბაზები და სვეტის ნატეხები, სხვადასხვა კონფიგურაციის საძირკვლები, მათ შორის მრგვალი შენობისა და სხვა.

აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტების შესწავლამ საშუალება მოგვცა აღგვედგინა ზოგიერთი კაპიტელი, ბაზა და ფალკეული სვეტები.

მრგვალი ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილია რვა ტრაპეციის ფორმის ქვის ფილა, ¹⁵ თითქმის ერთნაირი ზომისა – საშუალოდ 80X65 სმ-ზე და დაახლოებით 10-12 სმ-ის სისქისა. ფილები უხეშადაა დამუშავებული. ამ ფილებს გვერდები მთელი პერიმეტრის გაყოლებაზე საგანგებოდ ჩამოთლილი აქვთ. ეს დეტალი იმის მაჩვენებელია, რომ ტრაპეციული ფილები ოთხივე ნაპირით დაყრდნობილი ყოფილა ქვის ან ხის ძელების რაღაც კონსტრუქციაზე და, შესაძლოა, კესონის დამაგვირგვინებელ უჯრედს წარმოადგენდნენ. ფილების ტრაპეციული მოყვანილობა გვაფიქრებინებს, რომ ამ ფილებით მრგვალი ნაგებობა ყოფილა გადახურული.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი კორინთული კაპიტელის მიხედვით მოცემულია კორინთული ორდერის ორი სვეტის რესტავრაცია და ტაძრის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია.

¹⁵ ნ. ხო შტარია, ოთ. ლორთქი ფანიძე, რ. ფუთურიძე, არქეოლოგიური გათხრები განში 1968 წელს, განი I, 189.